ბათუმის საქალაქო სასამართლო

№ 11083/14 -256 გ/ვ

28 მაისი, 2014 წელი

ბატონ არჩილ კაიკაჩიშვილს

ა/ო ,,ახალგაზრდა ადვოკატების"
თანადამფუძნებელს და ხელმძღვანელს

(ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2014 წლის 21 მაისს შემოსული თქვენი №194 განცხადების საფუძველზე)

ბატონო არჩილ,

გეგზავნებათ აჭარის ა.რ. უმაღლესი სასამართლოს №1/ბ-32 განაჩენის ასლი მხარეთა პერსონალური მონაცემების (სახელის, გვარის, ასაკის, მისამართის, განათლების სამუშაო ადგილის, პროფესიის და სხვ.) გარეშე, ანუ დაშტრიხული სახით.

დანართი: „ 04 " ფურცლად.

პატივისცემით,

ლალი ქუთათელაძე
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი

ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30 ტ: (0422) 27-97-33; ფაქსი: (0422) 27-97-34
www.court.ge

374

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
უმაღლესი სასამართლო

საქმე № 1/ბ-32

განაჩენი
საქართველოს სახელით

21 თებერვალი 2004 წ. ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: გ. აბაშიძე

მოსამართლეები: ლ. ბერიძე,

ნ. მგელაძე (მომხსენებელი)

სხდომის მდივანი მ. კაკალაძის

სახელმწიფო ბრალმდებლის შ. კ ის

დამცველის ლ. მ ის

მსჯავრდებულ ე. ბ ას მონაწილეობით ადვოკატ ლ. ‍ ის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე ბრალდებისა გამო ე. თ ბ ის, დაბ. წელს, ეროვნებით , მოქალქის, ანათლების მქონის, , სამართალში არ ყოფილის, ცხოვრების რაიონის . , ამჟამად მსჯავრდებულისა და პატიმრობაში მყოფის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქ. სსკ 84-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტებით. პალატამ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 31 დეკემბრის განაჩენით ე ბ ს მსჯავრი დაედო მასზედ, რომ მან ჩაიდინა ჯანმრთელობის მართლსაწინააღმდეგო დაზიანება ჯგუფურად, ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში: წლის ს ბ ა, დ

ხ ან და სხვა პირებთან ერთად ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, რაიონის სოფ. ტერიტორიიდან დროებითი გამოყენების მიზნით გაიტაცა შ.პ.ს. „ “-ს კუთვნილი მარკის ორი ავტომანქანა და შ.პ.ს. “ კუთვნილი იმავე მარკის სამი ავტომანქანა.

განაჩენით ე ბ ი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 184-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტებით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა სამი წლის ვადით სასჯელის საერთო რეჟიმის სასჯელ–აღსრულებით დაწესებულებაში მოხდით. სასჯელის მოხდა დაეწყო 2004 წლის 8 ივნისიდან დღიდან მისი დაკავებისა.

განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრებული იქნა მსჯავრდებული ე. ბ ის ინტერესების დამცველ ადვოკატის ლ. მ ის მიერ. იგი მიიჩნევს, რომ ე. ბ ე შეფარდებული სასჯელი სამი წლით თავისუფლების აღკვეთა არის მეტისმეტად მკაცრი. სასამართლომ არ გაითვალისწინა შემამსუბუქებელი გარემოებები, რომ დაზარალებულები ე. ბ ის მიმართ არ გამოთქვამენ არავითარ პრეტენზიას და ითხოვენ მისი პატიმრობიდან განთავისუფლებას, ე. ბ ი ნასამართლევი არ არის, ხასითდება დადებითად, არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი. აპელანტი ითხოვს აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებას, სასჯელის შემსუბუქებაზე პირობითი მსჯავრის გამოყენებასა და ე. ბ ის პატიმრობიდან გათავისუფლებას.

სააპელაციო სხდომაზე საქმის განხილვისას საჩივრის მოთხოვნას მხარი დაუჭირეს მსჯავრდებულმა ე. ბ მა და მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ლ. მ ემ, რომლებმაც მოითხოვეს ე. ბ ის პატიმრობაში ყოფნის პერიოდის მოხდილ სასჯელში ჩათვლა და მისი პატიმრობიდან გათავისუფლება.

საქმის განხილვაში მონაწილე პროკურორმა საჩივრის მოთხოვნას მხარი არ დაუჭირა და მოითხოვა განაჩენის უცვლელად დატოვება.

სააპელაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეაფასა განაჩენის დასაბუთებულება და სააპელაციო საჩივრის მოტივთა საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეთა განმარტებანი და თვლის რომ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ე.

ბ ს დანიშნული სასჯელი უნდა შეუმცირდეს შემდეგ 3 გარემოებათა გამო.

საქმის მასალებით მთლიანად დადგენილია და არც მსჯავრდებული ე. ბ ი არ უარყოფს მის მიერ წლის ხ ან და სხვა პირებთან ერთად ჯგუფურად, ძალადობის გამოყენებით დ სარფის ტერიტორიიდან შ.პ.ს. „ "-ს კუთვნილი ა/მანქანების დროებითი გამოყენების მიზნით მართლსაწინააღმდეგო გატაცების ფაქტს. განაჩენით სწორად არის დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები. კვალიფიკაცია სწორია და განაჩენი ამ მიმართებით დასაბუთებულია. რაც შეეხება განსაზღვრულ სასჯელს –3 წლით თავისუფლების აღკვეთას, პალატა მიიჩნევს, რომ იგი არის მეტისმეტად მკაცრი, არ შეესაბამება სასჯელის მიზნებსა და მისი დანიშვნის ზოგად საწყისებს. სასჯელის განსაზღვრისას არ იქნა მხედველობაში მიღებული ე. ბ ის ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, რომ მან დანაშაული ჩაიდინა მისი უშუალო უფროსის დ. ხ ის დავალებით, მის მიერ ჩადენილი დანაშაულით არ დამდგარა მძიმე შედეგი. იგი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს. გასათვალისწინებელია ე. ბ ის მიერ ჩადენილი დანაშაულის მოტივი და მიზანი, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, დამნაშავის პიროვნება, მისი წარსული ცხოვრება, რომ იგი არ არის ნასამართლევი, ხასიათდება დადებითად. დაზარალებულები არ ითხოვენ მის დასჯას. ასეთ პირობებში პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს საქ. სსკ 55-ე მუხლის გამოყენებით ე. ბ ს დანიშნული სასჯელი შეუმცირდეს ერთ წლამდე. სხვა ნაწილში განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ 535–536-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ე ბ ის ინტერესების დამცველი ადვოკატის დ. მ ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

შეიცვალოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 31 დეკემბრის ე. ბ ის მსჯავრდების განაჩენი სასჯელის ნაწილში.

ე თ ბ ი ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ 184-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და„გ“ პუნქტებით და საქ. სსკ 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით სასჯელის საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხდით.

სასჯელის მოხდა დაეწყოს 2004 წლის 8 ივნისიდან დღიდან მისი დაკავებისა.

აღკვეთის ღონისძიება წინასწარი პატიმრობა დაურჩეს უცვლელად.

განაჩენის გასაჩივრება შეიძლება საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის სააპელაციო პალატაში გამოცხადებიდან და მსჯარდებულისათვის განაჩენის ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში აჭარის ა.რ. უმაღლესი სასამართლოს მეშვეობით.

თავმჯდომარე: გ. აბაშიძე

მოსამართლეები: ლ. ბერიძე,

ნ. მგელაძე